ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 8712/01
04/09/2019

8712-01-2-201909041154

შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტს“

მის: ქ. ფოთი, რეკვავას ქ. N 1/1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 22 აგვისტოს №53/ს (სამინისტროს სარეგისტრაციო ნომერი N12163; 23/08/19) სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-508; 10/06/2019 ბრძანებით „ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების განთავსების (ინსინერაცია) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაცემულია შემდეგ მისამართზე: ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხორგა, ს/კ 45.16.23.197 (დასკვნა N69; 04/10/2017).

სამინისტროში წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებიდან ირკვევა, რომ შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი გეგმავს ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს განთავსებას შპს „ქართული მანდარინის“ კუთვნილ შენობაში შემდეგ მისამართზე: ქობულეთის რაიონი, დაბა ჩაქვი, აჭარის ქ. N2, ს/კ 05.33.22.027. აღნიშნული დოკუმენტაცია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, რაც გულისხმობს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას ან/და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით, რადგან საქმიანობის განხორციელება იგეგმება ახალ ტერიტორიაზე, რომელზეც საქმიანობისთვის არ არის გაცემული შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. აღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობასთან (ნარჩენების აღდგენა) დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სკრინინგის განცხადება წარმოდგენილ უნდა იყოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის კრიტერიუმების შესაბამისად.

ამასთან, წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული დაგეგმილი საწარმოს ტერიტორიის აღწერა (GPS კოორდინატები; მოსახლეობასთან დაშორების

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ზუსტი მანძილი; მდინარისგან დაშორების მანძილი, საწარმოო ტერიტორიის გარშემო არსებული ობიექტები, მათგან დაშორების მანძილი და შესაძლო კუმულაციური ზემოქმედება), ტექნოლოგიური პროცესის დეტალური აღწერა (სამუშაო გრაფიკი და დღიური წარმადობა), ნარჩენების გადამუშავებისთვის გამოყენებული დანადგარის მახასიათებლები (მოდელი, სიმძლავრე, ხმაურის დონე (დბა) და ა.შ), ნარჩენების დამუშავების კოდი და აღდგენის მიზნით მიღებული ნარჩენების შესახებ ინფორმაცია (N426 დადგენილებით გათვალისწინებული ნარჩენების ნუსხის შესაბამისად), ინფორმაცია ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შესახებ. აგრეთვე, დაზუსტებას საჭიროებს წარმოდგენილი საწარმო ტერიტორიის ზუსტი მისამართი, რომელიც ფიქსირდება ს/კ 05.33.22.027-ზე.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე